



მდიონი

1992

საზოგადოებრივი

4

ს ა გ ვ ი ს ტ ო

№ 20 (10551)

ფასი 1 განთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრი გახდა. ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღე — 1992 წლის 31 ივლისი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დიდმნიშვნელოვან თარიღად ჩაიწერება.

უფლის სამსჯავროზე

ოდითან ასეა: ცოდვა-მადლის ქიდილი მიდის დრო. ზოგს კეთილი ფიქრი და მიზანი გაუხდია არსებობის ორიენტირად. მავანს კი სამწუხაროდ, საკუთარი ნამდვილი ადამიანური სახე დაუკარგავს და წლობით სულში დაღუპილი ზადისა და ნაკლის დასაფარავად ნიღაბი აუკრავს. ასეთი ნიღაბებით, გამოგონილი სურვილებით და ვნებებით გვაცხოვრება 70-წლიანმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა. მერე ერთიანი ძალისხმევით ამ ჯოჯოხეთური უფლის გარღვევა, მივიწყებული ეროვნული ღირებულებების მიხედვით ცხოვრება მოვიწადინეთ. მაგრამ ჩვენმა დამახინჯებულმა ფსიქიკამ გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე დაგვანება, გაგვითხრა, სულიერი წონასწორობა დაგვაკარგვინა. ვერა და ვერ აღვიდგინეთ ეს

წონასწორობა, ვერ მოვუძებნეთ მალამო გახლეჩილ სულსა და ცნობიერებას. და ამის მიზეზი სხვა უამრავ ფაქტორებთან ერთად ალბათ ისიცაა, რომ საკუთარი არასრულყოფილების განცდა ვერ დაგვიძლევია. ამით კი, ფაქტურად, გვას ვიწმობთ მონანიებისაკენ. ეს ხომ ის ქრისტიანული მადლია, რომლითაც სირცხვილი და შიშინდა გადაილახოს. ამიტომ ყოველი ჩვენგანის არსებაში უნდა მოხდეს სინდისის გამოღვიძება, ცოდვითა მონანიება. ეს ნიშნავს ჩვენივე მოვალეობის გაცნობიერებას საკუთარი შვილების, ოჯახის, სამშობლოს წინაშე. მხოლოდ ამ გზით შევაჩერებთ სატანისეულის მძლავრობას ამ საოცრად აწეწილ საქართველოში. მ. ნარბანი,

ცალმხრივობის მავნე უხამი

ჩემი აზრით დღეს საქართველოში არსებულ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას მნიშვნელოვნად აღვივებს განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტაცია. არიან ადამიანები, რომელთაც დღე მდე ვერ შეუგნათ, რომ განსხვავებული პოზიციის არსებობა არ ნიშნავს მტრობას სიძულვილს. პირიქით, ასეთი აზრი, თუკი იგი კონსტრუქციულია, აუცილებელია და სასიკეთოდ წაადგება საერთო საქმეს. მთელი ტრაგიკომი ამჟამინდელი სიტუაციისა იმაშია, რომ ნორმალურ აზრობრივ ქიდილს საშიშ ვნებათა ღელვაში, კონფრონტაციაში გადავზრდით ხოლმე. ვერ მოვირი-

გეთ კამათის, დავის ცივილიზებული ფორმების და საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიღა. დასაწინაა, რომ დღემდე ვერ ხერხდება დიდი კომპრომისის, დიდი ეროვნული თანხმობის მიღწევა. საქართველოს ტელევიზიაც სცოდავს დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში. მისი ცალმხრივი გადაცემების მავნე უხამი ახლაც იღვრება ეკრანიდან. დროა, შეწყდეს ამდაგვარი ტოტალიტარული სიძულვილით აღბეჭდილი გადაცემები და პუბლიკაციები. სხვა შემთხვევაში ახლახალ უბედურებებს განვუშვადებთ საკუთარ თავს. ჯ. თელია.

ვინ რა, მაგრამ უმრავლესობა მშობლების ტრადიციების მიხედვით ზომავს ცხოვრებას და სულიერ სიმდიდრეს ოჯახში იღებს. მათ შორის უსაზღვრო სიყვარულს საქართველოსი, დედაენის, რჯულისა და თვისტომის... ვინ სწავლულია, ვინ მუშა, ვინ გლეხი. მხოლოდ ერთი შეკითხვით: რა არის საჭირო იმისათვის, რომ აღამაინმა სიმალეს მიადღწიოს, — მივმართე შამგონელ მექანიზატორს ლუიზა წყაროზისა.

— ჩემს მშობლებს უყვარდათ მიწა და მეც გადამეღო ეს სიყვარული. მამაჩემი სოფლის პირველი ტრაქტორისტი იყო. შვილებიც ვეზიარეთ მამის პროფესიას. ამ გაჭირვების ეპოქაში, როცა საქართველოს განსაცდელი დაუდგა, ბევრი რამ მაფიქრებს. ჩემის აზრით, როგორი გამოუვალი მდგომარეობაც არ უნდა ჰქონდეს ქვეყანას ჩვენ უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე. მოსამკელ ყანას თუ ასაშენ-

„ო დ ი შ ი ს“

მკითხველებს

ჩვენი გაზეთის დღევანდელი უმძიმესი მდგომარეობა გვაძულებს ერთხელ კიდევ მოგმართოთ თხოვნით, ძვირფასო მკითხველებო! სადღესოდ თავჩინილ სხვადასხვა ფაქტორთა გამო გაზეთს დასურვის საფრთხე ემუქრება. ამ კრიტი-

კული ვითარებისაგან თავის დაღწევის შანსი პირმკითხვე სპონსორებთან ერთად თქვენს აქტიურ თანადგომაშია. თუ ხელმოწერის კამპანია ჩაიშალა, ეს ფაქტურად ნიშნავს მოსახლეობა დავტოვოთ ინფორმაციულ ვაკუუმში, მოვშალოთ

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური თუ სულიერი სიჯანსაღის ბერკეტები, მორალურ-ინტელექტუალური ღირებულებების დამკვიდრების პერსპექტივა. ეს არამც და არამც არ უნდა დაგვშვავთ. ჩვენის მხრივ გაირდება მარტივად მკითხველთა მხარეების გატარებას გაზეთის ხელმძღვრელებამდე მიწოდების უზრუნველყოფისათვის. „ოდიშის“ კოლექტივი

საწარმო: უჩვეულო სიძნელეების პირისპირ

ტრადიციის, ალამიანების

ჩაის ნედლეულისა და ხარისხის დადგენა, ლაბორატორიაში ხდება. კომბინატ „ოდიში“ ეს პროცესი ნახევარ საუკუნეზე მეტია მიმდინარეობს. ჰყავდათ შესანიშნავი ტექნოლოგები: გერონტი დანელია, ნიკანდრო მელია და სხვები. ლაბორანტებმა ეთერი ჰანიამ, ტიტესტერმა ვენერა სამუშიამ და სხვებმა გამოცდილება შემდგომ თაობას გადაულოცეს. და დღეს სადღესტაციო დარბაზში, სადაც წარმოებს როგორც ნედლეულის, ასევე მზარობის დამუშავების ფიზიკო-ქიმიური მარცხვლების დადგენა, თეთრხალათიანები ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ლაბორატორიის მისაღებ დარბაზში ნაზი სივინავე შემოგვეგებეთ. იგი ლაბორატორიის გამგეა.

აქვე არიან ტიტესტერი ეთერ ჰაჭუა, ლაბორანტი ავრორა სარსანია, ქიმიკოსი ლიანა ბალატურია, ტექნიკური კონტროლის უფროსი მარინა დარასელია და ტექნოლოგი ნოდარ მელია, ეს უკანასკნელი ინდოეთში მივლინებით არის ნამყოფი, იგი მამის — ნიკანდრო მელიას ტრადიციებს აგრძელებს. აქ გადიან საწარმო-სასწავლო პრაქტიკის სხვადასხვა ინსტიტუტის სტუდენტები, ტიტესტერებს მისამზადებელი განყოფილების მსმენელები და ყველა მათ მიყვებით აქ განვლილი დღეების სიბრძნე და დაგროვილი ცოდნა. უყურებ პროცესს: ტიტესტერები აღდგენენ ჩაის გემოს, არომატს, გარეგნულ სახეს, ფოთლის გამონახარბს, ნაყენის ფერს...

ამ საწარმოს თავისი ხელი დაატყო დიდებულმა პიროვნებამ, აწვანსვენებულმა სევერიან ებრაელიმ, რომლის მუშაობის დროს ამოქმედდა დამფასოებელი საამქრო უცხოური დანადგარები. მდიდარი ტრადიციების მქონე კომბინატი დღეს ძველი ნედლეულის ბაზაზე მუშაობს. ერთ ცვლაზე გადავიდა კოლექტივი, მაგრამ საწარმოდან დროებით გამოთავისუფლებულ მუშებს ერთგვარ დახმარებას მაინც უწევინ საწარმოს სრულად ამოქმედებამდე. პრობლემები უამრავია, მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფა, რასაც მხოლოდ ნაწილობრივ თუ აკმაყოფილებს პროდუქციის ბარტერული გაცვლა. ზ. ასათიანი.

ებელ სახლს სიტყვები არ ჰყოფნის. დოკლათი რომ მიიღო ოფლას მოდენა, შრომაა საჭირო. კარგად მესმის გლეხკაცის. მან რომ თავისუფლება იგრძნოს და სოფლის მეურნეობაც აღორძინდეს უნდა მიეცეს მიწა. მიწა ხომ ჩვენი მარჩენალია და მან ეს დანიშნულება უნდა შეასრულოს. გულს მიკლავს დღევანდელი მდგომარეობა. ზოგმა ტყვეობა და ზოგმა სიტყვით მოინდომა ერთმანეთის დაკოვდა. იმლაგრა ძალის პოზიციამ, არადა ხომ მრავალხმი-

დაკვირვებელი თვალი იოლად შეამჩნევს, თუ როგორი სივერაგით ცდილობენ ცალკეული პოლიტიკანები ამღვრული წყლის კიდევ უფრო ამღვრევას. აშკარაა, რომ მტრულ ძალებთან გვაქვს საქმე, რომელთაც სურთ ერთი შეუპე გახლიჩონ და დააჯახონ ერთმანეთს. სეპარატისტული, ანტიქართული ძალების მორიგ დემარშად იკვეთება აფხაზეთის უახლოესი მოვლენები. ვიდაცას სურს საქართველოში ეთნოკომფლიქტის ახალი ტალღის აგორება. მაგრამ ჩვენი ხალხი, ამასთან აფხაზი ხალხის ჯანსაღი ნაწილი არ წამოეგება მზაკვრულად გადმოვადებულ ანკვსზე. ახლა, როგ-

ორც არასდროს, პატივით გვეპირდება ისტორიული გონი, პერსპექტივის სწორად განვკრების ბრძნული ალღო. სწორედ ახლა ფასობს ოპონენტთან კამათის კორექტული, გულწრფელი ტონი, ეთიკური პრინციპი. ნამდვილი პოლემიკა არ თიშავს ადამიანებს. ეს იწყება მაშინ, როცა კრიტიკა იქცევა განქიქებად. ხოლო ეს უკანასკნელი თვითმიზნად. როგორ შეიძლება ენდო ტელევიზიის, პრესის ცალმხრივ, ტენდენციურ მიმოხილვებს, ან რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს ამდენი ბოლმის ნთხევამ, ერთმანეთის ასე გაწირვამ? დროა, წერტილი დაგვსვავთ ასეთ უგვანო საქციელს. ნ. ზონია.

ეს ყველას სატკივარია

ნია ქართული სიმღერა. წინაპართა აჩრდილები გვაფრთხილებენ შეუწყუთ ხმები ერთმანეთს... დღეს ხომ ყველას ჰქვირდინა იწყება საქართველოს სატკივარი, საერთო სატკივარს კი გამოთავისებელი სკარდება. ზ. აბულაძე.

